



ალაღი მადლობა

როგორც გაუწყვეთ, 12 სექტემბერს ქუთაისის მთავარ სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები გამართავს თავის პირველ ტესტ-მატჩს — ეთამაშება ზიმბაბვეს ეროვნულ ნაკრებს.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი სამზადისისას გაირკვა, რომ სავალაო გაუგებრობის შედეგად საქართველოს ნაკრების სათამაშო ფორმამ "ფერი იცვალა" — შინდისფერ-შავ-თეთრის ნაცვლად, ლურჯი შეიკეთა.

მორაგბეთა ერთმა ნაწილმა ამის გამო დროულად ატეხა განგაში და რაგბის კავშირის გამგეობის წევრებს "ლელოში" შეშფოთებით მიმართა ღია წერილით, რომელშიც შეასხენა საზოგადოებრიობისადმი მიცემული პირობა.

ღია წერილმა გაკრა ბედად, გამოჩნდა ქველი ხალხი, რომელმაც არ დიზარა და უმოკლეს დროში, თანაც უსასყიდლოდ, საქმეს თავი დაადავა.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რაგბის კავშირი, საქართველოს ახალშექმნილი ეროვნული ნაკრების წევრები და ქართული რაგბის ქომაგები ულამაზოდ მადლობას მოახსენებენ თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებას "გლდანის" კოლექტივს, მის გენერალურ დირექტორს რეზოლდ რაქვიშვილს, სამხატვრო სახელოსნოს უფროსს ნონა ჩხაიძეს და გაერთიანების ყველა იმ თანამშრომელს, რომელთა გულისხმიერების და დახვეწილი ოსტატობის წყალობით საქართველოს ნაკრები თავის ნათლობის მატჩზე გემოვნებით შეიკეთა შინდისფერ-შავ-თეთრი კვარტებით წარსდგება.

ზიმბაბვეს ნაკრებზე წერილს გთავაზობთ დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე.

ს.ს. ჩხაიძე, მადლობით

პროკლარაპო ყველა ქვეყნისა, შერიოდით!
საპარტვილოს სსრ უნიკარი კალბარისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საპროს ორგანო
ЛЕЛО
10 სექტემბერი, კვირა, 1989 წ.
№ 175 (10 094) • შპსი 3 პაბა.
გამომდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იმენება საპარტვილოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

საინიციატივო ჯგუფის მუშაობა სდროა

ამ სსდროის პარალელურად თავიანთი პირველი შეკრება დაიწიეს საქართველოდან ოლიმპიურმა ჩემპიონებმა. შეხვედრის მონაწილეებს უნდა გადაეწყვიტათ ოლიმპიური ჩემპიონთა კლუბის შექმნის საკითხი. მაგრამ ჩვენმა ჩემპიონებმა ჯერ სეოკ-ის საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე მოისურვეს დასწრება. თითოეული მათგანი ამ სხდომაზე გამოვიდა და მიესალმა საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის გაშლის იდეას, მხარი დაუჭირა საქართველოს ეოკ-ის შექმნის წინადადებას. რომან რურუამ აღნიშნა, რომ მოქიდავეებმა უკვე მეოთხე წელია, რაც მხოლოდ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონთა არაოფიციალური კლუბი შექმნეს. ჩემპიონები დიდ და სასარგებლო მუშაობას აწევიან.

კავშირებით. განიხილეს სეოკ-ის წესდების, პროგრამის და რეგულაციების პროექტები. დაამტკიცეს საორგანიზაციო კომიტეტი. გუშინწინ კი ამ კომიტეტის პირველი სხდომაც გაიმართა. გამოიყენეს რა ორგანიზაციის უფლებები, აზრთა მრავალმხრივი განხილვისა და ეკლექციური წინადადებების განხილვის შემდეგ, განსაზღვრეს კონფერენციაზე როგორც ცალკეულ ორგანიზაციების წარმომადგენლობის, ისე დედაგატების წამოყენების საკითხები.

შეკითხვა საინიციატივო

მკირფასო რედაქციამ, კარგა ხანა დიდი ინტერესით თვალყურს ვადევნებთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებულ მოვლენებს. დაიწერა ისიც, რომ შემუშავებულია წესდება, პროგრამა, რეგულაციები. გვინტერესებს, გამოქვეყნდება თუ არა ეს დოკუმენტები, განსაკუთრებით წესდება, საჭარო განხილვისთვის?

3. მამაშიძე, ს. პანაპაძე, ბ. მახალიძე, თბილისი.

იგივე საკითხზე ვეწერენ ი. ხამარაძე რუსთავიდან, ე. მუშაძე ზესტაფონიდან, ვ. ნიკოლაიშვილი ხაბრედიდან და სხვ.

საპარტვილოს ეოკ-ის შექმნის საინიციატივო ჯგუფი ამასთან დაკავშირებით იუწყება, რომ ყველაზე მთავარი დოკუმენტი ზემოხსენებულთა შორის არის წესდება. როგორც წესი, ყველა ეროვნული

ამერიკელი მენიან ოლიმპიურ „კონვერს“

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებენ ლაბარაკობს იმზე, რომ ოლიმპიადებში მთავარი გამარჯვება კი არ არის, არამედ მონაწილეობა. აშშ-ს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კალგარი-სა და სეულის თამაშებში წარუმატებლობის შემდეგ მთლიანად გადასინჯა თავისი გენერალური ხაზი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭიროა ფინანსური და ადმინისტრაციული პრობლემების მოგვარება. სხვათა შორის, იგივე მოსაზრება გამოთქვა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, რომელიც დიდხანს და გულმოდგინედ სწავლობდა ამერიკული სპორტის დღევან-

ჯგუფს

ლი ოლიმპიური კომიტეტის წესდების შემუშავებას მთლიანად საფუძვლად ედება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) ქართული. იქ ყველაფერი განსაზღვრულია. ყოველგვარი შესწორება ან გადახვევა ქართლის ძირითადი დებულებიდან, იწვევს სოკ-თან დაპირისპირებას და აღიარების გზას უჭირს ნებისმიერი ეოკ-ს. ოლიმპიური ქართლის ეოკ-ების წესდების და მათი სამოქმედო პროგრამების დეტალურად ნიშნავს სოკ-ის პრინციპების აღიარებას, რაც აუცილებელია ყველასთვის, ვისაც თავის ქვეყანაში სურს ფართო ასპარეზი მისცეს ოლიმპიურ მოძრაობას. ამდენად სეოკ-ის დოკუმენტების პროექტების განსახილველად გამოქვეყნება თვითშინაი არ უნდა განდეს. ოლიმპიური ქართლის შესაბამისად პროექტების სრულყოფაზე მუშაობს საინიციატივო ჯგუფი. საბოლოოდ კი წესდებას და სხვა დოკუმენტებს სეოკ-ის დამუშავებელი კონფერენცია განიხილავს და დაამტკიცებს.

დელ მდგომარეობას და მისი განვითარების გზებს. კომისიის დასკვნაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ აშშ-ს ოლიმპიურთა ერთადერთი მიზანი ამერიკიდან გამარჯვება უნდა იყოს, გამარჯვებას კი ყოველმხრივი ხელშეწყობა და დახმარება სჭირდება.

რას ნიშნავს ხელშეწყობა? პირველ რიგში რეალურ ფინანსურ დახმარებას, მხარების უფრო გულდასმით და სრულყოფილად შემუშავებულ „კონვერსულ“ პროგრამას, კვალიფიციურ სპეციალისტებს ნაკრები გუნდების მოსამზადებლად, რეკონსტრუირებულ საწვრთნელ ბაზებს და, რაც მთავარია, სპორტსმენთა ყოფითი პირობებისადმი მერ მზრუნველობას.

სრული ფინანსური დამოუკიდებლობა

უნარითის პრესის აზრით ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი რეგულაციური გარდაქმნის წინაშე დგას. რაში გამოიბატება იგი? ამ გარდაქმნის არსს თავად ეროვნული კომიტეტი ასე განმარტავს: სპორტსმენებს მნიშვნელოვნად უნდა გაუზარდოს გასამარჯვლო, ვინაიდან ხელფასის მომატება წარმატებების მთავარი სტიმული და გარანტია იქნება.

ამ მიზნით უნგრეთის ეროვნული კომიტეტი წყვეტდა აპირებს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას. ერთი ასეთი ნაბიჯი „ეროვნული გუნდის ლატარიის“ მოწყობა იქნება. გადაწყვედა, აგრეთვე, ეროვნული სპორტის სპონსორობის შემდგომი წინაისება. უნგრეთის ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტს ვადაწყვეტილი აქვს 1992 წლისათვის სრული ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვება.

ტანმომარჯობითა 55-ე საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატის (ჩატარდა ლონდონის სპორტის სასახლე — „დრუებაში“) ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლდათ ვაჟთა პირველობაში აქამდე ნაკლებად ცნობილი ეროვნული მოთამაშე ი. კორბინისკის გამარჯვება — 58,4. მოულოდნელი იყო სხვა პრიზიორთა შედეგებიც. ასე მაგალითად, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ბაქოელმა ვ. ბელენკიმ და ალმათელმა ვ. ნოვიკოვმა — 57,85 ქულა თითოეულს. ჩვენთვის, ქართველი გულშემატიკეებისთვის, სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა ახალგაზრდა ტანმომარჯობის ლეგან სისაურის გამოსვლა. მან სახელობის ხვეტილ ვლადიმერ ი. კოროლიოვთან ერთად მუხუთე-მეექვსე ადგილები გაიყო — 57,15 ქულა თითოეული (მეოთხე ადგილი 57,5 ქულით მოსკოველმა ვ. მარინჩმა დაიკავა).



სურათზე: ლ. სისაური.

გაიცანით, ია გავნიძე!

ველოსპორტი ჩვენში თანდათან გამოდის ჩიხიდან, მკაფიოდ იკვეთება ტრადიციების აღორძინების ნიშნები. ბოლო ხანებში საგზატკეცილო ველორობლაში ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენის ერთ-ერთ საიმედო ადგილად ლაგოდეხის რაიონის მოგვევლინა. სწორედ ამ რაიონის წარმომადგენელმა ია გავნიძემ ამ დღეებში ქ. იურბარაკსში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე გოგონათა შორის 60 კმ-ზე რბოლაში დაიკავა II ადგილი. ამავე დისტანციაზე IV იყო რუსთაველი ინეტა კირიანოვა.

ია გავნიძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა.

ხევის სპორტული ტრადიციები

საპარტვილოს მთიანეთში დიდი ქორწილებისა და რელიგიური დღესასწაულების განუყოფელი ატრიბუტია. ვარა ანისა, ცხენოსნობას საერთოდ მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი. მართლაც მთიელებში გავრცელებული დიდი არაერთ ეთნოგრაფსა და მკვლევარს აქვს აღწერილი. პროფესორი სერგი მაკალათია ასე გადმოგვცემს ხევისურულ დოღს: „დღი აქ ვაქციის მოსაგონად იციან, მაგრამ შეიძლება დიდი აგრეთვე საპატიო დიდი კაცსაც გაუმართონ.“

ამ დღეს ქირისუფალი სადღე სუფრას დასდგამს და მიცვალბულის ტალავარსაც (სამოსი) იქვე გაშლის. სადღე სუფრა ზოგჯერ ორსამ ნათესავის სოფელში დიდგმის: დედისძმის, მამისძმის და ცოლოურში, სადაც ლუღს ადუღებენ და მედლოეებს გამოილი სუფრით შეხვედებიან. დღში მედლოეთა რიცხვი განზრახულია 13 კაცი, ეს რიცხვი კენტი უნდა იყოს.“



საკავშირო სპორტსაკომის ტანმომარჯობის სამმართველოს უფროსმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლეონიდ არკაევმა აღნიშნა, რომ ჩემპიონატის მონაწილეებმა თავი გამოიჩინეს მაღალი ოსტატობით და რთული, უნიკალური ილეთების უნაკლო შესრულებით. მას არც ერთი ტანმომარჯობა შეეგებოდ არ გამოუყვია, მაგრამ აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებისას ნაკრებში მოსახვედრად საკმაოდ რთული კონკურენცია იქნება (სხვათა შორის, დონეცკში დიდი მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა თბილისელი ემზარ ფუნთუშაშვილის მიერ შესრულებული ურთულესი ილეთებმა ორბელზე ვარჯიშში).

არკაევმა დაასახელა ის ტანმომარჯობები, რომლებიც მწვრთნელთა საბჭომ შეარჩია მსოფლიო ჩემპიონატის სამზადისისთვის. ესენი არიან მოსკოველები — ვალენტინ მოვლინი, ვიტალი მარინჩი, დიმიტრი დოვალკინი და ტრავმირებული სერგეი ხარკოვი (დონეცკში არ გამოდით) ვორონილოვგრადალები — იგორ კორობინსკი, გენადი ზადოროჟნი და გრიგორი მისიუტინი, ვლადიმერელები — ვლადიმერ არტიომოვი და იური კოროლიოვი, ალმათელები — ვლადიმერ ნოვიკოვი და ვალერი ლიუტინი (ტრავმის გამო ამ ჩემპიონატში მანაც ვერ მიიღო მონაწილეობა), ბაქოელი ვალერი ბელენკი და ჩვენი თანამემამულე, თბილისელი ლევან სისაური.

დაჯილდოება

რესპუბლიკაში თავისუფალ კიბობის ავტორიტეტის ამდღებამ შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და დიდი სამსახურო ოქროს მედლით დააჯილდოვა სპორტის დამსახურებულ ოსტატი, საქართველოს თავისუფალი კიბობის ფედერაციის პრეზიდენტის წევრი ვარბეგ ივანეს ძე ბერიაშვილი.

დინამიკა და მთავრდა

ბუშინ თბილისის სპორტის სახახლეში დამთავრდა კალათბურთელ ვუთა „დინამიკა-89“. ბოლო ტურის შეხვედრების შედეგად ახეთა: მოსკოვა-თბილისი — 88:96 (44:52), ხოფია-ჩელაბინსკი — 91:84. (50:39). დინამიკაში საბოლოოდ უძლიერების სახელი დაიხსურა მოსკოვის „დინამომ“, II ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი, მომდევნო ადგილები შესაბამისად გაინაწილეს ფრუნჯესა და ჩელიაბინსკის კალათბურთელებმა. „ლეფსკი სპარტაკი“ დინამიკაში კონკურსგარეშე გამოილიდა.

რეის სახელი დაიხსურა მოსკოვის „დინამომ“, II ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი, მომდევნო ადგილები შესაბამისად გაინაწილეს ფრუნჯესა და ჩელიაბინსკის კალათბურთელებმა. „ლეფსკი სპარტაკი“ დინამიკაში კონკურსგარეშე გამოილიდა.



აღორკინება

დღესასწაულთან დაკავშირებით სადღე ტაბლა გამოილი ჰქონდათ ყაზბეგში, სნოსა და კარქუჩში. ხევის თავაკებმა დღში მონაწილე მხედრებს უსურვეს მშვიდობით დაბრუნება. მარიაშობის ამ დღესასწაულში, რომლის გვირგვინი გახლდათ გერგეტის სამება, ხევის უამრავი მკვიდრი და მათი სტუმრები მიიზიდა.

და აი, დიწყო დღი. პირველ დღეს ხევის ბიჭებმა იასპარეხეს 10 ცოლომეტრზე. მარიაშობის დღესასწაულზე კი დღიამ სტარტი აიღო მთაწმთიან სოფელ კარქუჩში. მონაწილენი უბელო, ადგილობრივი გიზის ბელაურებით ასპარეზობდნენ. უმრავ ბუნებრივ წინააღობათა და ქვადროლიანი ადგილებით აღსავსე ურთულეს ტრასაზე პირველი ადგილი წილად ხვდა 12 წლის ყაზბეგელ მხედარს ვანო ხაიკაშვილს. ეს იყო დაუვიწყარი, შესანიშნავი სანახაობა. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გამოსულეები დაჯილდოვდნენ ძვირფასი საჩუქრებით. სსსიამოვნოა, რომ ხევი დაიწყო ეროვნული სპორტის ტრადიციების აღორძინება. თამაშ ქიავას ტექსტი და ფოტო.

სურათებზე: დიდი დაწევის წინ ტრადიციულ რიტუალზე; დღში გამარჯვებული ვანო ხაიკაშვილი.

# ლათინური ამერიკის ძველებში ქეთევან კახიანაც გაუთქვა სახელი საქართველოს

საორბის შესახებ

კოლუმბის ქალაქ ტუნაში, სადაც დამთავრდა მსოფლიოს პირველობა ჟღერა ახალგაზრდებს (20 წლის ასაკის ჩათვლით) შორის, ბტწყინვალე შედეგით (11,5 ქულა 13 შესაძლებელიდან) პირველი ადგილი დაიკავა ქართველმა მოქალაქემ 17 წლის ქეთევან კახიანამ.

აქვე პარალელურად ტარდებოდა პირველობა ქაბუკებს შორის. ესპანეთის ჩემპიონს მწვრთნელად ახლდა ქართველი დამოსტრატე თამაზ გორგაძე, რომელმაც იმავე დღეს აიღო ინტერვიუ, როგორც ქეთევანისაგან, ისე მის მწვრთნელ გორგი მაქარაშვილსაგან.

ვფიქრობთ, „ლელოს“ მკითხველებისათვის საინტერესო იქნება მსოფლიო ჩემპიონის პირველი ინტერვიუ.



ქეთევან კახიანა, მსოფლიო პირველობის გამარჯვებული, ხელს უჭერს საქართველოს სახელს.

ქეთევან, ბედნიერად ვთვლით, რომ სამშობლოდან მოშორებით პირველი ქართველი გილოცავ ამ დიდ და სახანგლო გამარჯვებას. ვიცო, რამდენი ხანძნელები შეგხვდებიან. მიუხედავად შენი გამარჯვებისა საბჭოთა კავშირის პირველობაზე, ყველას დიდი ჯაფა დაგაღვია, რათა დაგერწმუნებინათ ქვეყნის ქალთა ნაკრების უფროსს მწვრთნელი, რომ შენი მონაწილეობა 18 წლამდე ასაკის გოგონებს შორის მიზანშეწონილი არ იყო, რომ შეგეძლო კარგად გამოხველა 20-წლიანთა შორისაც. ვიცი, რომ 18 წლიანებში თამაში და გამარჯვება გაცილებით იოლია. ნუთუ შენც და მწვრთნელიც დარწმუნებული იყავით, რომ ამ ტურნირშიც გამარჯვებით?

ქეთევანი: გამარჯვების რწმენა ყოველთვის მქონდა, მაგრამ ახლა მაეჭვებდა, რომ აქ მეტი ბრძოლა მომიხვედრა ამ მიზნის მისაღწევად.

გიორგი: მე უფრო პრინციპულად მიმაჩნდა ამ ტურნირში გამოსვლა. გვიანტერესებდა ჩვენი ძალების გამოცდა. თანაც ვითვალისწინებდით იმას, რომ გაოსად მოგვიწევს საზონათშორისო ტურნირში ბრძოლა, გვინდოდა შეგვემოწმებინა ჩვენი შესაძლებლობები.

ტირანის დაწვევამდე ვინ მიგანდით პირველი ადგილის პრეტენდენტად?

ქეთევანი: უნგრელი მადლი და საბჭოთა მოქალაქეები გალიამოვა და ზაიაცი.

გიორგი: ქეთევანს არ უნდა თავისი თავის დასახელება, ჩვენ, რა

ქეთევანი: მღელვარება გარეგნულად მაინცდამაინც დიდად არ გეტყობოდა კონკურენტებთან თამაშის დროსაც კი. ტურნირის დროს თავი ავარიდე ამ თემაზე შენთან საუბარს, ახლა კი მეც მაინტერესებს, როდის დელავდი უველაზე მეტად?

ქეთევანი: არცერთი პარტიის წინ არ ველეკავდი.

გიორგი, ქეთევანი „შეიძლება“ მართლაც ამბობს, მაგრამ ყო-

ველი პარტიის დროს, იოლად გამხვევდი როდის გქონდა კარგი ფერი და როდის ფირიდებოდი. თუ დავუმატებთ, რომ ქართული სხვა არავის ემსოდა, შენ მაინც გამოტყედი როდის დელავდი უველაზე მეტად?

გიორგი: მაშინ, როდესაც მდლთან ხელიდან გაუშვა მოგება და ბოლომდე ტურში, როცა გააკეთა ყაიმი, და კიდევ მთელი ბოლო პარტიის განმავლობაში.

კმაყოფილი ხართ თუ არა პარტიების ხარისხით?

ქეთევანი: განსაკუთრებით მინდა გამოვყო პარტიები: ზაიაციან, პოლონელ კლუბევიან და ნაწილობრივ მადლან.

იყო პერიოდი, როდესაც 1,5 ქულით უნგრედით უნგრელ მადლს. ფიქლოლოგიურად ზომ არ იმოქმედა ამან?

გიორგი: საქმე ის იყო, რომ ქეთევანმა მთავარი კონკურენტებთან ექვს პარტიაში დააგროვა 5,5 ქულა და მისგან შედარებით იოლ გამარჯვებას ელოდა ყველა. ჩვენ კი ვიცოდით, რა მადლის სპორტული თვისებები, ბოლო მომენტამდე ბრძოლისათვის ვიყავით განწყობილი. თუ კი ორი ზედმეტი ყაიმი გავაკეთეთ, ეს ოდნავ გადალას უნდა მიეწეროს. თან მინდა დავუმატო, რომ ყველა პარტიას, რა თქმა უნდა, ერთნაირი ძალით ვერ ითამაშებ.

უკანასკნელი 27 წლის განმავლობაში ქართველი ქალები დედოფლობაში მხოლოდ იყვნენ. თქვენ უკვე მოიპოვეთ საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება. რამდენად რეალურად თვლით იქ შექვს კარგ გამოხვედას, ამირები თუ არა დედოფლის ტახტისათვის ბრძოლას და რამდენად რეალურად მიგანიათ გამარჯვება?

გიორგი: მთავარი ამოცანად მიგვიჩნია პრეტენდენტთა ტურნირში გასვლა, პროგნოზებზე შემდეგ ვილაპარაკო.

ქეთევანი: საჭიროა ბევრი მუშაობა. რა თქმა უნდა, ჩემი მიზნები ძალზე, ძალზე შორს მიდის...

პრაქტიკულად, გარდა ჩემპიონის სახელისა, რა მოგვით ამ ტურნირში?

გიორგი: აქ გამარჯვებულს ავტომატურად ეთვლება დიდოსტატის ერთი ხელი, ასე რომ, ამ წოდების მისაღებად მხოლოდ მეორე ნორმის შესრულება გვჭირდება, რასაც, ვფიქრობთ, უახლოეს ხანში შევასრულებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ წარმატებას და ვისურვებთ წინსვლას.

დარწმუნებული ვარ ამ პირველი მოკლე ინტერვიუს გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონთან შემდეგი ინტერვიუებიც მოჰყვება. ჩემი მხრით მინდა საზოგადოება შეგეშინო, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალიტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ქეთევან კახიანამ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა ქართლის მოკვარულზე. კოლუმბისის პრესა, რადიო, ტელევიზია ყოველდღე მის ბრწყინვალე თამაშს აღნიშნავდა. რამდენიმეჯერ დაი-

ბეჭდა ინტერვიუ გიორგი მაქარაშვილთანაც, რომელიც მუდამ აღნიშნავდა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, პატარა რესპუბლიკის შეილები. მეც, როგორც ესპანური ენის „შედარებით“ მცოდნეს, ხშირად მიწვევდა ასსანა-განმარტება, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკაა, რომ აქ სულთა მებრძოლი ხალხი ცხოვრობს და ქეთევანსაც გამარჯვებისკენ სწრაფვა გენებოდა მოსდგამს. დარწმუნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ არა მარტო კოლუმბისის 50-მილიონამდე მოქალაქემ, არამედ ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნებშიც გაიგეს და იცინათ თუ სად არის საქართველო და ქართლის დედოფლები რომ მხოლოდ აქ ცხოვრობენ.

## პატივცემულო რედაქცია!

მოგახსენებთ, უნგრეთის მოქალაქე ქალთა გუნდი (დები პოლგარები, მადლი, ვერცე, ივანკა და სხვები) მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებია. მაგრამ ჩემი და საერთოდ, მთელი ქართველი გულშემატკივრების აზრია, გაიმართოს უნგრეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა სადმე, ნეიტრალურ ქვეყანაში და შევეცადოთ მსოფლიო სპორტაკო საზონის დავეუბტკიცოთ, რომ ქართველ მოქალაქე ქალთა ძლიერება ჯერ არ გახუნებულია, რომ ჩვენი ნაკრები უძლიერესია მსოფლიოში.

გთავაზობთ წინადადებას, ჩვენს ნაკრებში შევიდნენ: ჩიბურდანიძე, იოსელიანი, გაფრინდაშვილი, ალექსანდრია, გურიელი, არახამია, კახიანი... ყველა მოქალაქე შეხედეს ერთმანეთს (ცხადია, გამოირცხულება ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეთა ერთმანეთთან შეხვედრა). ვფიქრობ, ასეთი მატჩის მომხრე ძალზე ბევრი აღმოჩნდება როგორც საქართველოში, ისე უნგრეთში. ჯერი იმაზე დადგება, თუ ვინ მოაწყობს (ითავებს) „საუკუნის ტურნირის“ ორგანიზაციას, დღევანდესს.

იმედოვნებ, „ლელო“ და იუკის შექმნის საინიციატივო ჯგუფი აქტიურობას გამოიჩინოს ამ საკითხში.

ქადრაკის გულშემატკივართა სახელით გიორგი მიქიაშვილი, მასწავლებელი.

## ქართული პრესა წარდა...

### ცხოველთა და ფრინველთა ორთაბრძოლა

XVII საუკუნის ცნობილი ოსმალო მოგზაური ევგენია ჩელევი, რომელიც აღწერს სპარსეთის მეფის შაჰ-სეფის (შაჰ-აბას I-ის შვილიშვილი, 1629-1642 წწ.) „ჩოგნის მოედნის გასართობ ადგილს“ თავისი წიგნით: „ერთმანეთთან ბრძოლებზე ცხენებს, რომლებიც მანამდე ორმოცი-ორმოცდაათი დღის განმავლობაში სიბნელეში ჰყავთ — დიდი სანახაობაა აქლემების ბრძოლა ცხენებს, კარგი გასართობია. კამეჩების ბრძოლა, ყოჩების ბრძოლა, ვირების ბრძოლა, ძაღლების ბრძოლა, მამლების ბრძოლა, ამ ნოვრუზის დღის დასასრულისათვის (ხევაზ-შაჰის ნოვრუზის დღეს) დიდი სანახაობაა და სპარსთა ქვეყნისათვის ღამაშასიათებელი (ნოვრუზი ახალი წლის დღესასწაულია)“.

ცხოველთა და ფრინველთა ორთაბრძოლები, როგორც ვართობა, სანახაობა ოდითგანვე იყო გავრცელებული მსოფლიოში. ჩვენში მეოცე საუკუნემდე შემორჩა ყოჩების ჭიდილი და მამლების ჩხუბი.

თურქეთში ყოველწლიურად თებერვალში დღესასწაულობენ „აქლემების დღეს“, ეწყობა მათი ორთაბრძოლები. გამარჯვებული აქლემის პატრონი მთავარი მსახივრისთვის პირველ პრისს — ხალიჩას.

აქლემების ბრძოლა გავრცელებული იყო არაბეთის ნახევარკუნძულზე. ერთი ასეთი ცნობა გახვთმა ინიერიაში შემოგვინახა: „სირიასა და არაბეთში აქლემების ჭიდილობა ძლიერ ჰყვარებიათ თურმე. ამას წინადაქ. სირიანში ორი სახელ-განთქმული აქლემი უჭიდავებიათ. ერთსა ჰქვ-

ან „მეიმა“, სირიიდან ყოფილა მოყვანილი, და მეორეს, ორ-კუხას, „კარანტაკი“, ყურნოვიდგან“ მოყვანილი. ჭიდილობაზე დიდძალი მიყურებელი შეიკრბა თურმე და ხალხი დიდად აღელდა, როცა გამოიყვანეს მოედანზე ორი უხარმაზარი აქლემი. გამოვიდნენ თუ არა, ორივემ ისკუბა, უკანა ფეხებზე იყალყუნენ, წინაფეხებით დაეტიანენ და ცდილობდნენ წაეჭკიათ ერთმანეთი. მაგრამ ვერცერთმა ვერ განიმარჯვა. შემდეგ ისევ უკან ჩამოედგნენ, კვლავ ეყენენ ერთმანეთს და ევლავ იყალყუნენ უკანა ფეხებზე და გადაეხლართნენ წინა ფეხებით. ასე გასტანა ჭიდილობა საათ ნახევარს. თითოეულ გადახტომაზე ტაშის ცემა ქუხილივით გაისმოდა ხოლმე. მაგრამ ვერც ერთი ვერ ეროდა...

ბოლოს, როდესაც ორ-კუხა აქლემი ისარივით გამოქანდა „მეიმასაგან“ ამან უტყბად გვერდი აუქცია და „კარანტაკი“ საშინელი ბრაგვანი მოაღინა ძირს, გამარჯვება „მეიმას“ დარჩა და საზოგადოებამაც დიდ ოვაციით დააჯილდოვა გამარჯვებული. „მეიმას“ ჭიდილთა თვით დამარცხებულს „კარანტაკი“ დარჩა.“ (ივერია, 1890 წ., 17 ივლისი).

### „შაბათს“

ქართულ გიმნაზიაში გამართა მეორე გიმნასტიური ვარჯიშობა, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. თავდაპირველად ევარჯიშეს პირველი და მეორე კლასის მოსწავლე ქალებმა, რომლებმაც თავიანთი მწყობრი და ლამაზი ვარჯიშობით აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება. შემდეგ გამართა თავისუფალი გიმნასტიური ვარჯიშობა უმცროსი კლასების ვაჟებისა. საინტერესო იყო უფროსი შეგორების ვარჯიშობა სხვა და სხვა გიმნასტიურ სავარჯიშოებზე.

ბოლოს, როდესაც ორ-კუხა აქლემი ისარივით გამოქანდა „მეიმასაგან“ ამან უტყბად გვერდი აუქცია და „კარანტაკი“ საშინელი ბრაგვანი მოაღინა ძირს, გამარჯვება „მეიმას“ დარჩა და საზოგადოებამაც დიდ ოვაციით დააჯილდოვა გამარჯვებული. „მეიმას“ ჭიდილთა თვით დამარცხებულს „კარანტაკი“ დარჩა.“ (ივერია, 1890 წ., 17 ივლისი).

ქველად ინდოეთში მიღებული იყო სპილოების ჭიდილობა — თამაშობა, იარდა იმისა, რომ მათ ბრძოლაში იყენებდნენ. „თომსარიანში“ (VIII საუკუნე) აღნიშნულია: „საომრად და საჭილებლად სპილო არის, და თამაშად და შესაქცევადაცა“.

### „ბიზნესი პარკიშობა პაროლ ბიზნესიში“

უფროსი კლასების მოსწავლენი ჯგუფებდა იყენენ დაყოფილი და რიგრიგობით ხან ერთს საეარჯიშოზე ვარჯიშობდნენ და ხან მეორეზე. თვითუღე ჯგუფს მიჩენილი მოსწავლე ხელმძღვანელობდა. საერთო ვარჯიშობის შემდეგ ივარჯიშეს თვით ხელმძღვანელებმა. რომელთაგან ყველაზე მეტად მოეწონა საზოგადოებას ვარჯიშობა ჯავრიშევისა, ციციშვილისა, ბაქრაძისა და ყარაშვილისა. შემდეგ უფროსი კლასების მოსწავლეებმა, ორკესტრის აკომპანიმენ-

ბრძოლებისა და შეჯიბრებებისადმი აზარტი განსაკუთრებით გაძლიერდა XIX და XX საუკუნეებში.

გზუთ „კავკასიის“ 1902 წლის ცნობით პარიზელთა საყვარელ ადგილას ყოპიენში ეწყობოდა ქათმების, ჩხვების, ბატების, ცხვრების, თხების, ბაყაყების, ხოჭოებისა და ბოცვერების ორთაბრძოლები, ბრძოლებში არ დამეგობდნენ ცხენები, ძროხები, კატები, ვირები და ხბოები.

გასული საუკუნის ბოლოს ამერიკაში პოპულარული გახდა ბელურების ჩხუბი. „ამერიკაში ეხლა მოდაში შემოდის ბელურების ჩხუბი მამლების ჩხუბის ნაცვლად. ბელურებს უმხებულენ ნისკარტს და ახარან ფრთებს, რათა არ გაფრინდნენ. ბელურები მოჰყავთ სხვადასხვა ქალაქებიდან, რადგანაც მხოლოდ ასეთ ბელურებს აქვთ ერთმანეთის ზიზლი და გამწარებულნი ეძგერებიან ერთმანეთს. ამერიკე-

ლებს ეს სანახაობა დიდად მოსწონთ.“

(„კავკასი“, 1890 წ., №35).

იბაღილეთა საყვარელი სანახაობა იყო ძაღლების ბრძოლა. მილანში ძაღლების საბრძოლველი სპეციალური დარბაზები არსებობდა.

დღისათვის ყველაზე აზარტულ გართობად მამლებს ჩხუბი ითვლება. „ჩრდილოეთ საფრანგეთის შემამლეთა ფედერაციამ“ ბრძოლის ოფიციალური წესდგარაც კი გამოცხად. მამლებს სამ წონით კატეგორიად იყენენ დაყოფილი: მსუბუქი, საშუალო და მძიმე. ეს დღესაც შემორჩენილია ფილიპინის კუკულუზე და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

კუნძულ მანილაზე ყოველსოფელში არის საბრძოლო საბრძოლი მამლებისათვის. მხანველები ბილითში თითო რეალს იხდიან, მამლების პატრონები კი ოთხ რეალს, შემოსავალი ხელისუფლებას რჩება. მანილულლებზე აზარტულები არიან ტაგელები.

დიდალი ხალხი ესწრება მამლების ჩხუბს კოსტა-რიკაში. პანამაში სოფლის ყველაზე დიდი დღესასწაული — „ფოსტა პატრონალე“ მამლების ჩხუბით მთავრდება. ეროვნული სახე მიიღო ამ ჩხუბმა კუბასა და მექსიკაში. ლიმაში ეს სანახაობა შაბათ-კვირათხდ იწყობა. ქალაქში გამართულია საბრძოლი „კოლისეო სანდია“. მისი დიამეტრი 12 მეტრია და შემოვლელული აქვს მალალი მავთულბალი. მსაჯი ცალკე საეარტელში ზის. მამლებს ფეხებზე საპარტეულივით ბას ფოლადის დეზებს უკეთებენ. ბრძოლა ზოგჯერ მთელ საათს გრძელდება, ზოგჯერ კი რამდენიმე შეჯახებით მთავრდება.

პუბლიკაციები მოამზადდა სალიანო ნაივაშიძემ.



სსრ კავშირის  
ჩემპიონატი  
ფეხბურთში

# ნათლობის გზები: საქართველო - ზიმბაბუე

გიორგი მთელიანი



## წარმოგიდგინო შენთვის

**ზიმბაბუე** — სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში. ტერიტორია — 391 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 8,4 მილიონი (1985 წლისათვის), დედაქალაქი — ჰარარე.

დღევანდელ ზიმბაბუეში რაგბის თამაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს დაიწყო. მაშინ ქვეყანა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ნაწილი იყო და სამხრეთ როდენზია ერქვა, დედაქალაქი — ახლანდელი ჰარარე — სოლსბერად იწოდებოდა.

ზიმბაბუეის რაგბის კავშირის („ზიმბაბუე რაგბი ფუთბოლ ასოციაციონ“) წინამორბედი — როდენზიის რაგბის კავშირი 1895 წელს შეიქმნა. შექმნისთანავე კავშირი სამხრეთ აფრიკის რაგბის საბჭოს (სარბ) ორგანიზაციის წევრი გახდა და სხვა პროვინციული კავშირებს სსრკ-სა და მის შემადგენელ რაიონებს შორის ურთიერთობის საშუალებას უზღავდა. სერ დონალდ ქარის თაოსნობით 1980 წლამდე — მანამ, სანამ სამხრეთ როდენზია დამოუკიდებელი გახდებოდა და ზიმბაბუეის რესპუბლიკა დაერქმეოდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, ყოფილი როდენზია ყოველმხრივ გაემიჯნა მეზობელს — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. გაიყარა სამხრეთაფრიკელი და როდენზიელი რაგბის განვითარების გზებიც და ერთ დროს სარბ-ის რიგითი პროვინცია, ვისი უძლიერესი წარმომადგენლებიც საერთაშორისო სარბიულ სამხრეთ აფრიკის მძლეობაში იყვნენ, სარბიულ სამხრეთ აფრიკის სრულყოფილი წევრად იქცა.

დამოუკიდებელ რაგბის კავშირის თავიდან გაუქვინდა, ვინაიდან მსოფლიოში უძლიერეს პროვინციულ ტურნირს — „ქარის თაოსნის“ გათამაშებას გამოაკლდა, პოლიტიკური მოტივებით სამხრეთ აფრიკის რაგბის თამაშზე უარის თქმა მოუხდა, აფრიკაში ახლო-მახლოს კი ძლიერი გუნდები არავის ჰყავდა. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავი იჩინა ზიმბაბუეის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ევროპაში თერთმეტი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეობის უფლება.

მზაბუედან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ევროპაში თერთმეტი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეობის უფლება.

მერე და მერე ვითარება თანდათან გამოსწორდა. როდენზიის ერთგულ თეთრკანიანთა სათვისტოობის შედეგად ნაწილობადაც შეიქმნა „სამხრეთ აფრიკის რაგბის მხრეთაფრიკელი კავშირი“ და დაიწყო თანდათანობით მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეობის უფლება. მერე და მერე ვითარება თანდათან გამოსწორდა. როდენზიის ერთგულ თეთრკანიანთა სათვისტოობის შედეგად ნაწილობადაც შეიქმნა „სამხრეთ აფრიკის რაგბის მხრეთაფრიკელი კავშირი“ და დაიწყო თანდათანობით მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეობის უფლება.

წელს შინ კვლავ საბჭოთა ნაკრებს (12:16 და 18:9) და პორტუგალიას (35:9) ეთამაშა. მსოფლიო მსოფლიო თასზე განცდილმა სასტიკმა მარცხმა (ახალ ზელანდიაში, სადაც სამხრეთ აფრიკის გუნდის ნაცვლად მიიწვიეს, ზიმბაბუეის ნაკრებმა წაგო სამივე მატჩი: რუმინეთთან — 20:21, შოტლანდიასთან — 21:60, საფრანგეთთან — 12:70 და ქვეყნულში ბოლო ადგილი დაიკავა) დაარწმუნა ისინი, რომ ძლიერი მეტოქესთან სისტემატური თამაშის გარეშე წინსვლა შეუძლებელია. ზიმბაბუელებმა ძლიერი გუნდების მიწვევის მიპყვეს ხელი: 1987 წელს წააგეს ირლანდიის კუთხეთა ჩემპიონ ალსთერთან (12:36), 1988 წელს — შოტლანდიის ექსპერიმენტულ გუნდთან (10:31) და საფრანგეთის ბასკეთის ნაკრებთან (21:26). სამაგიეროდ, 1987 წელს, მსოფლიო თასის გათამაშებიდან ორი თვის თავზე, მოიგეს აფრიკის პირველი ჩემპიონატი: დაამარცხეს მადაგასკარის, ნიგერიისა და ტურნირის მასპინძლის — ენისის გუნდები.

დასასრულ, ორივე სიტყვა ზიმბაბუელთა სათამაშო სტილზე. დიდ ტრადიციებს მქონე სამხრეთ-აფრიკული რაგბის „ჭილაკი“ გუნდს დღესაც ეტყობა. სათამაშო კულტურა ზიმბაბუელებს საკმაოდ მაღალი აქვთ. სამაგიეროდ, აკლიათ ანგარიშისა და წონა-სიმაღლითაც ჩამოუვარდებიან „ძლიერთა“ კავშირს (20:19 და 9:31); 1987



ზიმბაბუელები, როგორც ჰემარიტი ჩენტლენები, ანგარიშის მიუხედავად, ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან და როცა საიერიშოდ იხელთებენ ბურთს, მოედნის ნებისმიერი ადგილიდან იწყებენ შეტევას. ვინაიდან ქვეყანაში რაგბი ჯერ კიდევ „თეთრების“ სპორტია, ამ უკანასკნელთა სიმკობის გამო კი რაგბის მაღალ დონეზე მოთამაშეთა „თემი“ მკირრითხოვანია (1200 მოთამაშე 36 კლუბიდანაა გაერთიანებული). ამიტომ მსოფლიო კლასის თეთრკანიანი მოთამაშეები ზიმბაბუეის თითქმის არა ჰყავს. სამაგიეროდ, ზანგებს „შორის თანდათან“ ჩნდებიან პირველი კლასის ვარსკვლავები. ერთმა მათგანმა, იმდროს 21 წლის რიჩარდ კიმბამ, შუამარბმა, 1987 წლის მსოფლიო თასზე რუმინელებს ორი ბრწყინვალე ლელო გაუტანა, რის გამოც ურუნალისტებმა იგი „შე ბრილიანტად“ მონათლეს. ყველაფერი ეს გვაძლევს იმედი, რომ საქართველოს ნაკრებს თავის პირველ მატჩში ხელწამოსაკრავი მეტოქე არ ეყოლება, თუმცა კი ჩვენი „შეჯიშვნილებსაგან“ გამარჯვების გარდა არაფერს ველოთ.

ბადრი მკვათარიანი.

სურათზე: 1987 წლის 30 მაისი. ველისგორის „ხელეთი ფარჯი“. მსოფლიო თასის პირველი გათამაშების მატჩში ერთმანეთს ხვდებიან ზიმბაბუეცა (ზოლიან კვარტაში) და შოტლანდიის გუნდები.

„ქოლონდორთის“ ფოტო თურნალ „რაგბი ველ ენდ ფოუზილიან“.

## საფეხბურთო ლიგების კავშირში

სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის აღმინისტრაციული საბჭოს სხდომაზე შეიქმნა საგანგებო კომისია სსრკ დამსახურებულ მწვრთნელის ი. ბაზილევიჩის ხელმძღვანელობით, რომელმაც ცვლილებები უნდა შეიტანოს მეორე ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების სისტემაში და შეიმუშავოს ლონისძიებანი ლიგის რეორგანიზაციისა და შეჯიბრების სტრუქტურაში სიახლეებისთვის.

კომისიის სხდომაზე შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც შემდგომში უნდა წარიმართოს ლიგის საკავშირო შეჯიბრებები. მეორე ლიგამ ძირითადად უნდა შეინარჩუნოს ამჟამად არსებული საშტატო განაწილება, ხელოვნურად შექმნილი ი. ვ. ს. შუაღვლი, ანუ ბუფერული ზონები საჭირო არ იქნება, მისი შექმნა, ლიგის გუნდების უზრავლესობას მხოლოდ ზიანს მიყენებს. მიზანშეწონილად მიჩნეის მეორე და პირველ ლიგებს შორის გუნდების გადასვლის რიცხოზობის გაზრდა, საჭირო აღარ იქნება გადასასვლელი ტურნირების ჩატარება. მაყურებელთა ინტერესის ასამაღლებლად სასურველად მიჩნეის მეორე ლიგის ზონების შემადგენლობის პერიოდული ცვლა და ი. ვ. შერეული ზონების დაწესება, ამასთან აუცილებლად უნდა გათვალისწინებული იყოს ეკონომიკური ტერიტორიული ფაქტორები. ყველაფერ ამასთან ერთად მიზანშეწონილად მიჩნეის მეორე ლიგაში შედარებით მაღალი კლასის გუნდების ჩვეულის გამოყოფა, ეს გუნდები თამაშის დონით პირველ ლიგას უნდა დაუახლოვდნენ, ამასთან საჭიროა რიცხოზობიდან გაიზარდოს პირველი ლიგის გუნდების რაოდენობაც.

კომისია ამ რეკომენდაციებს გადასცემს საფეხბურთო ლიგების კავშირის აღმინისტრაციულ საბჭოს, რათა მან ყურადღებით შეისწავლოს II ლიგის სადღესიო საჭირობორტო საკითხები.

რის გუნდების გადასვლის რიცხოზობის გაზრდა, საჭირო აღარ იქნება გადასასვლელი ტურნირების ჩატარება. მაყურებელთა ინტერესის ასამაღლებლად სასურველად მიჩნეის მეორე ლიგის ზონების შემადგენლობის პერიოდული ცვლა და ი. ვ. შერეული ზონების დაწესება, ამასთან აუცილებლად უნდა გათვალისწინებული იყოს ეკონომიკური ტერიტორიული ფაქტორები. ყველაფერ ამასთან ერთად მიზანშეწონილად მიჩნეის მეორე ლიგაში შედარებით მაღალი კლასის გუნდების ჩვეულის გამოყოფა, ეს გუნდები თამაშის დონით პირველ ლიგას უნდა დაუახლოვდნენ, ამასთან საჭიროა რიცხოზობიდან გაიზარდოს პირველი ლიგის გუნდების რაოდენობაც.

კომისია ამ რეკომენდაციებს გადასცემს საფეხბურთო ლიგების კავშირის აღმინისტრაციულ საბჭოს, რათა მან ყურადღებით შეისწავლოს II ლიგის სადღესიო საჭირობორტო საკითხები.

## ვინ წავა იტალიაში?

„ლელოს“ ბევრი მკითხველი წერილებით მოგვმართავს, თუ როგორ განაწილდება ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტურისტული საზღურები და როგორი იქნება მათი ფასი. ასეთივე მკითხვით მიმართავენ სხვა გაზეთებსაც. ამის თაობაზე სულ ახლახან ინფორმაცია მოგვარდა გაზეთმა „არგუმენტი“ ი ფაქტმა“ (№ 35, 2-8 სექტემბერი).

სსრ კავშირის „ინტურისტის“ სახელმწიფო კომიტეტის მთავარი კომერციული სამმართველოს ცნობით დიდ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს, ტრადიციულად, საბჭოთა ტურისტების 2-3 ჯგუფი ესწრება. მათი საერთო რაოდენობა 100 კაცს არ აღემატება, ამ ჯგუფებს, როგორც წესი, სსრ კავშირის სპორტსანკომი ადგენს.



საბჭოთა ტურისტების რაოდენობის სიმკობის მთავარი მიზეზია თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის ღირებულება „ინტურისტში“. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ძალზე ძვირი ჯდება როგორც ტურისტული მომსახურება, ისე სპორტულ ღონისძიებებზე დასასწრები

ბილეთებიც. ასე, მაგალითად, პოკი იში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე შევციაში, სასტუმროებში დაბინავების ფასი ჩვეულებრივზე ორჯერ ძვირი ღირდა, შეჯიბრებაზე დასასწრები ბილეთების ფასი კი უცხოური ვალუტით 40 მანეთს აღემატებოდა.

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე „ინტურისტს“ განზახული აქვს 600-მდე ტურისტის გაზავნა საბჭოთა თბომავლით. ამ შემთხვევაში გამოირიცხება სასტუმროების სავალუტო ხარჯები, გაკლივით შემოკლებულ დასახარჯი კვებაზე. „ინტურისტმა“ ამის თაობაზე უკვე ოფიციალურად მიმართა შავი ზღვის საზღვრო სანაოსნოს.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, სსრ კავშირის სპორტსანკომისა და პროფკავშირთა საკავშირო წესის გარდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საზღურები „ინტურისტის“ სახელმწიფო კომიტეტის ქვეგანყოფილებების საშუალებით განაწილდება პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საქალაქო და საოლქო საბჭოებში.

ჯერჯერობით ძნელია ამ საზღურების საფასურის განსაზღვრა, რადგანაც ცნობილი არაა, თუ რა დაჯდება გემის დაქირავება, ეს თანხა კი საზღურის საერთო ღირებულების 75 პროცენტს შეადგენს. ჩვეულებრივი კრუიზების ანალოგიით დაკითხვების კლასების მიხედვით. საზღურის ფასები, ალბათ, 1,4 ათასიდან 2,6 ათას მანეთამდე იქნება.

## საერთაშორისო შეხვედრები

**პრალაში** შედგა აშხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკელებმა.

**პოლონელმა** ფეხბურთელებმა ვარშავაში მიიღეს საბერძნეთის ნაკრები და აშხანაგურ მატჩში გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

## უცხოელნი იტალიაში

**დაიწყო** იტალიის მორიგი პირველობა. წელს ამ ქვეყნის 18 კლუბში 51 უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს. ყველაზე დიდ წარმომადგენლობა აქვთ არგენტინელებს — 11 მოთამაშე, შემდეგ

მოდიან ბრაზილია — 10, ურუგვაი. გერ, იუგოსლავია — 5-5, შვეიცარია — 4, მოლანდია — 3, სსრკ, ესპანეთი — 2-2, პორტუგალია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და ბულგარეთი — 1-1.

გთავაზობთ იტალიაში მოთამაშე უცხოელთა სრულ სიას:

- „ინტური“: მათუსი, ბრემე, კლინსმანი (ყველა — გერ).
- „ნაპოლი“: მარადონა (არგენტინა), კარეკა, ალემარო (ორივე — ბრაზილია).
- „მილანი“: გულიტი, ვან. ბასტენი, რაიკარდი (ყველა — პოლანდია).
- „ჯანოვა“: რუბენ პასი, აგულირა, პერდომო (ყველა — ურუგვაი).
- „სამპდორია“: ვიქტორი (ესპანეთი), სერეზო (ბრაზილია), ვატანეცი (იუგოსლავია).
- „ანკონი“: კასაგრანდე (ბრაზილია), არსლანოვიჩი, ცვეტკოვიჩი (ორივე — იუგოსლავია).

**გაუზინე** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელები მოსკოვში შეხვედრენ გათამაშების ერთობლივულ ლიდერს ადგილობრივ „სპარტაკს“.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 1:0.

გოლი მოსკოველთა კარში შეხვედრის 65-ე წუთზე გაიტანა კახი გოგიჩაიშვილმა.

- ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:
- „ტორკედო“ — „ზენიტი“ 2:1
- „როტორი“ — „მეტალისტი“ 3:2
- „ზახტორი“ — „არარბანი“ 1:2

## ლიგის

ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 31-ე ტურში ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მიმდინარე მილიონ ზაპოროეცის „მეტალურგი“ ამ მატჩის შესახებ ჩვენმა ბათუმელმა კორესპონდენტმა **ოთარ მურვანიძემ** ტელეფონით შეგაცხივებინა:

„მეტალურგი“ ტრადიციულად ძნელი მეტოქეა ბათუმელთათვის. იგი წლებადელო საკავშირო გათამაშებაში პირველ ათეულში მოსახვედრად იბრძვის. „მეტალურგის“ შემადგენლობაში რამდენიმე ფეხბურთელი გამოდის, რომელთაც უმაღლესი ლიგის გამოცდილება აქვთ.

პირველი ტაიმი კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა. დინამოელებს მცირე ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მე-12 წუთზე ბიგავამ მეტოქე მეკარესთან ბრძოლისას ვერ გამოიყენა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ 30-ე წუთზე კიკლიაშვილმა ჯონხაძის გადაცემით შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი სტუმრების კარში.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მიმდინარე რადიკალურად შეიცვალა, მიმდინარეობდა 55-ე წუთში, როცა სტორჩაქმა, ასევე შორი მანძილიდან, ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 61-ე წუთზე ბეცას წამოვარდნილი გოლით დამთავრდა — 2:1.

ბათუმის „დინამოს“ მარცხი საკუთარი მიმდინარეობა, როცა ლიგის გათამაშება დასასრულს უახლოვდება და გუნდს პატივით უსაქირობედა თითოეული ქულა სატურნირო ცხრილში მყარ მდგომარეობის შესაქმნელად, განსაკუთრებულ შემთხვევას იწვევს. დინამოელებმა ყველა ზომის უნდა მიმართონ, გააძლიერონ თამაში და თავგამოდებით იბრძოლონ ქულათა იმ რაოდენობის დასაგროვებლად, რომელიც მათ I ლიგაში ადგილის შეინარჩუნების საიმედო გარანტიას შეუქმნის.

ამავე დღეს კრანსოდარის „ყუბანმა“ თავის მიმდინარე ანგარიშით 2:1 დაამარცხა დონის როსტოვის არმიელთა გუნდი.

**გაუზინე** ლანჩხუთის „გურია“ 31-ე ტურის მატჩში შეხვედრა რიგის „დაუგვას“.

თამაში დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 4:0.

## ევროპის ახალგაზრდული პირველობა

**პანტრიხისა** და სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩის წინა დღეს ვენის მახლობლად, ქალაქ ამსტერდენში შედგა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ამა-31 ქვეყნების გუნდებს შორის. თამაში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისის დინამოელი კ. ცხადაძე.

სატურნირო მდგომარეობა ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევი ჯგუფში ასეთია:

სსრ კავშირი	4	3	1	0	8-2	7
გერ	4	1	1	2	4-4	3
ავსტრია	4	1	1	2	5-8	3
თურქეთი	4	1	1	2	3-8	3

მსოფლიო თასის  
გათამაშება  
შაქლი-სოფია

საპარტიალო კომპოზიციები

# ინგლისური, კონგრესი

## პირველი დღე — სივრცის

წლებადვე სპორტულ სეზონში მძლეოსნობა უმთავრესი ტურნირი. უმეტესად, მსოფლიო თასის გათამაშება იყო, რომელიც გუნდის საღამოს დამთავრდა მომავალი ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში — ბარსელონაში. ტრადიციულად ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ ხუთი კონტინენტის — ევროპის, აზიის, აფრიკისა და ოკეანის, აფრიკისა და ამერიკის ნაკრებები, აგრეთვე სამი ეროვნული გუნდი — აშშ-ისა და ევროპის ორი საუკეთესო ნაკრები, რომლებიც I-II ადგილებს დაიკავებენ ევროპის თასის გათამაშებაში.

წლებადვე ეს უფლება მოიპოვეს გერმანია და სსრ კავშირის ქალთა და დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებებმა, მაგრამ შემდეგ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა, უფრო სწორად — დიდი სხვადასხვა: გვისტადელი (დიდი ბრიტანეთი) გამართულ ევროპის თასის გათამაშების მონაწილე საბჭოთა მძლეოსანი ალექსანდრე ბაგაჩი დოპინგის მიღებაში დაადანაშაულებს, მას შედეგი გაუუქმდა, გუნდს კი 6 ქულა ჩამოერთვა. ამის წყალობით გერმანიის ვაჟთა გუნდი სანატრულ 11 ადგილზე აღმოჩნდა.

ბარსელონის სტადიონზე, რომელსაც უკვე ოლიმპიურს უწოდებენ (მისი მშენებლობა ჯერ საბოლოოდ არ დამთავრებულა) ერთ უჩვეულო რამესაც შეამჩნევდა მკურნალები: სარბენი ბილიკების რაოდენობა ჩვეულებრივზე ერთით მეტი — ცხრაა. მასპინძლებს სურდათ თავისი გუნდი შეჯიბრებაზე ეხილათ, სტადიონის ერთი ბილიკი მაიმეტეს და თან დაურთეს თხოვნა იაფფასადი (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია). იაფფასადი პატივი სცა მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებს, ალბათ სოკის პრეზიდენტს, ამ ქალაქის მკვიდრს ლუიზ ანტონიო სამარანჩისა და... მძლეოსნობის ისტორიაში კიდევ ერთი იშვიათი შემთხვევა აღირიცხა.

ასპარეზობის პირველი დღე სიურპრიზით დამთავრდა — ვაჟთა შორის პირველ ადგილზე აფრიკელი ათლეტები აღმოჩნდნენ. ეს დროებითი წარმატება ბრწყინვალე შედეგთანაა მორბენლებმა განაპირობეს, როდესაც საექსპრესო, რომ შეძლებს მძლეოსნობის ე. წ. ტექნიკურ სახეობებში (ტყორცვა, ხტობა) აფრიკელებს ეს პოზიცია შეინარჩუნებინათ.

სრულად დამაჯერებელი იყო პეტრა ფელკს (გერმ) გამარჯვება შუბის ტყორცვაში — 70,32 მ. იტალიელმა სალვატორე ანტონიო (ევროპის ნაკრები) ძლიერი ფინიშით მოუგო 10 კმ-ზე რბენა აფრიკისა და აზიის წარმომადგენლებს და 28,05,26 აჩვენა. სიგრძეზე ხტობაში გამარჯვება ჩილეის დუბლიორმა — ლარი მირიქსმა — 829 სმ, 400 მ. თარხარბენში — დევიდ პატრიკმა (აშშ) — 48,74, ქალთა შორის — მისმა ცოლმა (I) სანდრა პარნერ-პატრიკმა — 53,84.

ფიდასთან არსებულ საქარაკო კომპოზიციის მუდმივ საერთაშორისო კომისიის დიდი წინსვრა ტრადიციულად აქვს. იგი ყოველწლიურად თავის მორიგ სხდომაში — კონგრესს რომელიმე წევრი-სახელმწიფოს ქალაქში ატარებს, სადაც ოფიციალურ დელეგატებთან ერთად იკრიბებიან მსოფლიოს ცნობილი საქარაკო კომპოზიტორები და ამომხსენებლები, აგრეთვე საქარაკო პოეზიის მორტიფიკატორები. მათთვის იმართება დასწრებული (ბლიცი) და თემატური შეჯიბრებები ამოხსნასა და შედგენაში, იწყობა მსოფლიოს პირად-გუნდური პირველობა ამოცანებისა და ეტულების ამოხსნაში, ლექციები, საღამო-შეხვედრები, სპეციალური საკომპოზიციო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა და სხვა საინტერესო ღონისძიებები. ამჟამად გერმანია, რასაკვირველია, ჩამოსულია ყურადღების ცენტრშია თვით კომისიის სხდომა, მისი დღის წესრიგი და ის გადაწყვეტილებები, რომლებიც კომპოზიციის სამყაროს ცხოვრებას წარმოადგენს და მისი მომავალი განვითარებისკენ არის მიმართული.

მცირე გეოგრაფიული ექსკურსია: ბორნმუტი — სამხრეთ ინგლისი (დორსეტის საგრაფო) — მაშინ სრუტის სანაპიროზე განლაგებული დიდი საკურორტო ქალაქი (მოსახლეობა 150 ათას კაცამდე) და ტურინის ცენტრია. ამ თითქმის 10 კმ. სიგრძის ყვეთელქვიშიანი პლაჟით და ლამაზი პარკებით განთქმული ქალაქის საკურორტო ფუნქცია მე-19 საუკუნიდან ჩამოყალიბდა, თუმცა განვითარებულია ლითონდამუშავებით, ელექტროტექნიკური და სპარაფიზიკური მრეწველობის დარგებით. საკურორტო სეზონის დროს ბორნმუტის მოსახლეობა საგრძობად მატულობს და მას შეხვედრას კონგრესების ქალაქსაც ეძახიან. სწორედ ეს ქალაქი აირჩია 19-26 აგვისტოს ბრიტანეთის საქარაკო პრობლემისათვის საზოგადოებამ მუდმივი საერთაშორისო კომისიის მორიგი 32-ე სხდომის ჩასატარებლად, რომელიც ახლა უკვე საქარაკო კომპოზიციის ისტორიის კუთვნილებად იქცა.

ბორნმუტის კონგრესზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის პირველად ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის საქარაკო კომპოზიციის ცენტრალური კომისიის ახალი თავმჯდომარე ქართველი დიდოსტატი გია ნადარეიშვილი, რომელსაც თან ახლდა უძლიერესი ამომხსენებლისა და კომპოზიტორების გუნდი მწვრთნელითურთ და ჩვენი ვაჟთა საკომპოზიციო რუბრიკის ლეონიდასი. ამ უკანასკნელს, რომელიც ბოლო ადგილზე ალბომის (1983-85 წწ.) საერთოდ განყოფილების დირექტორის ფუნქციას ასრულებდა, კომისიაზე მოსასწავნელი ჰქონდა ალბომისათვის შერჩეული ნაწარმოებების სია და ეტუდისტების მიერ შეგროვებული საკვალიფიკაციო ქულების ანგარიში. კომისიის პლენარულ სხდომებზე ქვეკომისიების მუშაობა ენაცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად

მოქმედებს 7 ქვეკომისია: 1. კონგრესის, 2. შეჯიბრებების მოწყობის, 3. გამოცემების და „შეცდომების“ აღრიცხვის ცენტრის, 4. საკვალიფიკაციო, 5. კომპოზიციის კომპიუტერიზაციის, 6. ოლიმპიური კონკურსების, 7. საერთო. როგორც ცნობილია, უკანასკნელი ქვეკომისია, რომელსაც საერთოდ ექსპერტი გ. ნადარეიშვილი ხელმძღვანელობს, შარშან, ბუნდამუტის 31-ე სხდომაზე შეიქმნა და მას საქარაკო ხელოვნების ამ ურთულესი და სპეციფიკური ჯანის მომავალი განვითარებისადმი ზრუნვა ევალება.


ბორნმუტის სხდომაზე ქვეკომისიამ გადაწყვიტა შემოიღოს ეტუდისტების წახალისების ახალი ფორმა — ინგლისურ. საერთო ურთულად „ენდ-გემის“ მასალების მიხედვით ყოველწლიურად შეარჩიოს „წელიწადის ეტუდები“ (2-2 ეტული მოგებასა და ყაიმზე) და ფართო პრესა მისცეს მათ. ქვეკომისიის მიზანია, რომ მის მიერ შერჩეული ნაწარმოებები უნდა პასუხობდნენ თანამედროვე ეტუდის მხატვრულ-ესთეტიკურ და საინტერესო, მკაფიო სიუჟეტურ მოთხოვნებს, რათა ამ პატივდებულმა კომპოზიციებმა დიდხანს სამსახური გაუწიონ საერთო ხელოვნების პოპულარიზაციას.

სხდომის პარალელურად გამართული შეჯიბრებების კულმინაცია იყო მსოფლიოს მე-13 პირად-გუნდური დასწრებული პირველობა ამოცანებისა და ეტულების ამოხსნაში, რომელზედაც ცამეტი ქვეყნის ძლიერმა გუნდებმა მიიყარეს თავი. იგი მძაფრად მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში და ბევრი მღელვარება განიცდიდა ქომაგებს. უკანასკნელ წლებში პატივდებულმა კომპოზიციის მოყვარულთა შორის ამოხსნა ზომ ინტელექტუალური შეჯიბრის და შრომატევადი შემოქმედებითი პროცესის საინტერესო და აზარტული ფორმა და კომპოზიციის სპორტული ელემენტის ყველაზე ძლიერი გამოხატულება. ევროპელები და მათ შორის, განსაკუთრებით ინგლისელები, გონების სავარჯიშო და გონებამახვილობის გამოვლენების ყველა საშუალებას, მათ შორის საქარაკო ამოცანების და ეტულების ამოხსნას, დიდად აფასებენ. ამიტომაც იყო, რომ იგი პრესტიჟულ შეჯიბრებად იქცა და იქ მოთხოვნილი წარმატება ეროვნულ საამაყეს იწვევს ქომაგებში. საქარაკო ალინიშოს, რომ ინტელექტუალური გამოვლენა დიდოსტატი გ. მესტელი, რომელიც, ამასთანავე, ამოხსნის საერთაშორისო ოსტატის წოდებასაც ატარებს. პირველობა ჩვენი გუნდის სრული ტრიუმფით დამთავრდა. ჩვენმა წარგზავნილებმა (დიდოსტატი ი. ვლადიმეროვი, გ. ევსევი, ს. რუმიანოვი) 180 შესაძლებელიდან 159 ქულა მოაგროვეს და 7 ქულით გაუსწრეს შარშანდელ ჩემპიონს — გერმანელს. პირად ჩათვლაში კი ჩემპიონი გახდა მოსკოველი გიორგი ევსევი, რომელსაც ამ წარმატებისათვის კონგრესმა ამოხსნის

საერთაშორისო ოსტატის ტიტულიც მიანიჭა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენს მკითხველებს ვერ გავაცნობთ ამ პირველობაზე წარმოდგენილ ნაწარმოებებს, ვინაიდან ისინი ორიგინალურია და მათი გამოქვეყნების უფლებას ორიგინალატორები და ავტორები არ იძლევიან. ბორნმუტის კონგრესზე საბჭოთა წარმომადგენლებს სხვა წარმატებებიც ჰქონდათ. ორს მიენიჭა საერთაშორისო არბიტრის წოდება, ხოლო 9-მ საბჭოთა სპორტული წოდებისათვის საჭირო ნორმა შეასრულა. მათ შორის დ. გურგენიძემ — საერთაშორისო დიდოსტატის, ხოლო ვ. ნიქიძემ — საერთაშორისო ოსტატის.

დასამახსოვრებელი იყო ქალაქის მერიის მიერ მოწყობილი მიღება, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ და დიდებულ შენობაში („საერთაშორისო ცენტრი“) გაიმართა. ინგლისელები თავის სტუმრებს შესანიშნავი კულტურული პროგრამით გაუმასპინძლდნენ: ექსკურსიების დროს დაავალოდნენ სოფლების ცნობილი კათედრალური ტაძარი, სპორტული ცენტრი და საზოგადოებრივი კულტურის ცენტრის სავარჯიშო სოფელი, ლონდონის ცენტრი. კონგრესზე მათ ჩაატარეს თავისი ეტუდისტების წრის საჯარო სხდომა, მოწყვეს ამოცანის შედგენის ბლიც-კონკურსი („დიდი ბრიტანეთის და შოტლანდიური ვისკის მე-4 კონკურსი“), სადაც საონსორებმა გამარჯვებულებს სხვადასხვა ფორმის ვისკი გადასცეს. სახეიმიდ აღინიშნა ინგლისელი კლასიკოსი პრობლემისტი თომას დიუსონის (1889-1951 წწ.) დაბადების 100 წლისთავი. იგი „ზოარული კადრების“ ერთ-ერთ ფუნქციონალურ იველებს. იყო ინგლისური საკომპოზიციო ურჩხალების რეაქტორი, ხოლო 1931-1943 წლებში საქარაკო ამოცანების მოყვარულთა ბრიტანული საზოგადოების პრეზიდენტი.

### მ. დიუსონი, 1947




სერიული ნაღიშამათი 15 სვლაში

სერიული ნაღიშამათი ჩვეულებრივსაგან იმით განსხვავდება, რომ აქ ყველა სვლას უკანასკნელის გარდა მხოლოდ შავები აკეთებენ. ამოხსნა მათი სვლების ისეთ სერიას (ამიტომაცაა, სერიული) უნდა შეიცავდეს, რომ შავი მეფე მხოლოდ ერთადერთი და ამასთან, უჩვეულო გზით, თანაც ეფექტურად დაშაშაბდეს. 1. d4 2. მდd5 3. e4 4. e3

5. e2 6. e1მქ (დაფიქსირებული) ახალი ფიგურა განდა და მხოლოდ მათი დასწრებით მიიწვევს (მაგრი) 8. g1 9. g7 10. მდ5 11. მდ5 12. მდ5 13. მდ7 14. მდ8 15. მდ7 და ეც8X1 გადაწყდა მომავალ 33-ე სხდომის გამართვა გაისად ქ. ალიკანტეში (ესპანეთი). 1991 წლის სხდომის ორიგინალატორ-სახელმწიფოს კანდიდატად კი დასახელდა საბჭოთა კავშირი. კონგრესის მონაწილთა დიდმა უმრავლესობამ წარმოდგენილი იყო 25 ქვეყანა მხარო დაუქირა 34-ე სხდომის საქართველოში ჩატარების იდეას. მათ შორის იყო კომისიის საბატო პრეზიდენტი ფინელი იან ჰანელიუსი, რომლის პრეზიდენტობაც მისთვის კეთილად მოსაგონარ თბილისში დაიწყო 1975 წლის მე-18 კონგრესზე. მკითხველებს ვთავაზობთ მის სამსკლიან მინიატურას.

### ი. პანელიუსი, 1972



შამათი 8 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

### „სპორტლოტო“

**გაპროტიანება** „სპორტლოტო“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 36-ე ტრიაჟის შედეგები, რომელიც 3 სექტემბერს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტრიაჟში დაშვებულია 1.324.624 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვლია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (27) მოგება 2.232 მანეთი, ოთხისთვის (1.433) — 41, სამისთვის (26.550) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 30.750 ვარიანტი. 6-0, 5-1 (ქუთაისი), 4-22, 3-593.

„სპორტლოტო 8 86“-დან: ტრიაჟში დაშვებულია 13.546.456 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (18) მოგება 10.000 მანეთი, ოთხისთვის (4.534)—135, სამისთვის (154.719) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 381.777 ვარიანტი. 5-0, 4-98, 3-4. 084.

36-ე ტრიაჟისა და 27-36 ტრიაჟებში მონაწილე ათირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 23 სექტემბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით.

### რედაქტორი მ. შანიჩილაძე.

### ტაილინის 3. ი. ლინდის სახელობის „დინამოს“ სტადიონი



ტაილინის 3. ი. ლინდის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი №2)

### 11 სექტემბერი ფეხბურთი

ამხანაური საქალაქაშორისო შეხვედრა ქალთა გუნდებს შორის „მედიკი“ (თბილისი) — „პარტია“ — (ლენინგრადი) დასაწყისი 19 საათზე ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 11 სექტემბერს 10-დან 19 საათამდე.

### საპარტიალო სპორტსახეობის ოლიმპიური რეპარეზის სასწავლებელი

### აჯანყება

მოსწავლე-სპორტმენთა დამატებით მიღებას 1989-90 სასწავლო წლისათვის VIII-IX-X კლასებში და I კურსზე საშუალო სკოლის ბაზაზე. VIII-IX-X კლასის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ გავლილი წინასწარი სპორტული მომზადება (არანაკლებ II-I სპორტული თანრიგი). გამოცდები ტარდება საერთო ფიზიკურ მომზადებაში და სპეციალობაში სპორტის არჩეული სახეობის მიხედვით.

1. მძლეოსნობაში — 15 სექტემბერს 11 საათზე. ლენინის სახელობის სტადიონზე;
2. აკადემიურ, ბილიარდობა და კანოეთი ნიჩბოსნობაში — 16 სექტემბერს 11 საათზე. მცხეთის სანიჩბოსნო ბაზაზე;
3. ველსპორტში — 18 სექტემბერს 11 საათზე. ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ტერიტორიაზე;
4. ფარიკობაში — 18 სექტემბერს 11 საათზე, სასწავლებლის ტერიტორიაზე;
5. ფეხბურთში — 19 სექტემბერს 11 საათზე „სინათლის“ სტადიონზე;

6. კლასიკურ ჰიდაობაში — 20 სექტემბერს 11 საათზე, სასწავლებლის ტერიტორიაზე;
  7. თავისუფალ ჰიდაობაში — 21 სექტემბერს 11 საათზე, სასწავლებლის ტერიტორიაზე;
  8. ძიულში — 26 სექტემბერს 11 საათზე, სასწავლებლის ტერიტორიაზე;
  9. სამთო-სათხილამურო სპორტში და ტრამპლინიდან თხილამურებით ხტობაში — 29-30 სექტემბერს დაბა ბაქურიანში — 11 საათზე;
  10. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) — 28 სექტემბერს 9 საათზე;
- მოსწავლე-სპორტმენები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლო, ოთხჯერადი კვებით და სპორტული ფორმით. მოსწავლეთა კონტინგენტი მთლიანად სახელმწიფო კმაყოფიანაა. სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №№ 026, 063, 191);
  2. დაბადების მოწმობა (დედანი);
  3. საკლასიფიკაციო წიგნაკი;
  4. ფოტოსურათი 3X4 (4 ცალი);
  5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
  6. რეკომენდაცია-დახასიათება რაიონის სპორტკომიტეტიდან (რეკომენდაციის ნიმუში გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ლელოს“ აქლის 26 ივლისის ნომერში);
- ატესტატს და პასპორტს წარადგენენ პირადად. საბუთები მიიღება 15 სექტემბრამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 16 საათამდე. ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას: ქ. თბილისი, თანეთის გაბატეცილი №25. ტელ. 67-18-34.

**გაენი მისამართი:**  
წერილებსათვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, ჟურნალისთვის — თბილისი, „ლელო“.

**კვლევის ბალანსი:**  
წერილებსათვის — 98-97-55, სამღებო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53, „მერანი“ — 98-97-28, „მარტვი“ — 98-97-27.

53060  
052360  
66435

საქართველოს კვლევითი ინსტიტუტის შრომის წიგნით დროისი ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ამგვარად იტყობი წიგნით საჯაროთ კორპუსში: ლომარაულას, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00358